

საბაზო საფეხურის სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია

- **ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები (Aims)** - ესგ-ს მიზნები გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან. ისინი განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომელთა განვითარება-ჩამოყალიბებასაც ყველა საგანი უნდა ემსახურებოდეს.
- **საგნობრივი ჯგუფის მიზნები (Goals)** - საგნობრივი ჯგუფის მიზნები აზუსტებს და აკონკრეტებს ესგ-ს მიზნებს საგნის კონტექსტში. საგნობრივი სტანდარტები და წლიური პროგრამები ემსახურება საგნობრივი ჯგუფის მიზნების განხორციელებას.
- **საგნობრივი სტანდარტი** - სტანდარტი საგნობრივი ჯგუფის მიზნებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა შეეძლოს მოსწავლეს საბაზო საფეხურზე კონკრეტული საგნის ფარგლებში. სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:
 - საგნის სწავლების მიზნები და შედეგები
 - სტანდარტის შინაარსი
 - მეთოდიკური ორიენტირები
 - შეფასება
- **წლიური პროგრამა** - გვიჩვენებს სასწავლო პროცესში სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.
- **საგნის სწავლა-სწავლების მიზნები (Objectives)** - საგნის მიზნები საგნობრივ კონტექსტში აკონკრეტებს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჯგუფის მიზნებს.
- **სტანდარტის შედეგები (objectives)** წარმოადგენს საგნის საფეხურზე სწავლების მიზნებს, ანუ იმ უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც საგნის სწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლეს. საფეხურზე სწავლა-სწავლება და შეფასება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საგნობრივი სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შედეგები ჯგუფდება მიმართულებების მიხედვით.
- **სტანდარტის შინაარსი** საფეხურის ფარგლებში განსაზღვრავს სავალდებულო ცნებებს, სასწავლო თემებს/ თემატურ ჩარჩოს/თემატურ ბლოკს, კონკრეტულ საგნობრივ საკითხებს.
- **ცნებები** განსაზღვრავს იმ არსობრივ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
- **სასწავლო თემები** - წლიური საგანმანათლებლო პროცესი უნდა დაიგეგმოს თემების საშუალებით. სასწავლო თემა წარმოადგენს შინაარსიან, ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს. თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება შედეგები, ანუ სწავლის მიზნები.
- **თემატური ჩარჩო/ბლოკი** წარმოადგენს ბაზას სასწავლო თემებისათვის და აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც მოსწავლემ უნდა შეძლოს საგნობრივი ცოდნის გამოყენება. საფეხურის სამივე კლასისთვის მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები უნდა გამომდინარეობდეს თემატური ჩარჩოდან/ბლოკიდან. თემატური ჩარჩო/ბლოკი წარმოადგენილია ჰუმანიტარული მიმართულების ზოგიერთი საგნის სტანდარტში.

- **სტანდარტის საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები** - საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ზოგად ცნებებს აკავშირებს შედეგებთან. ისინი აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს სტანდარტის ცნებებს.
- **თემატური საკვანძო შეკითხვები** - თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი შეკითხვებიდან და დაისმის კონკრეტული თემის კონტექსტში. ისინი აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს თემის ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებს. საკვანძო კითხვები, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს.
- **შეფასების ინდიკატორები** - ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
- **შემაჯამებელი კომპლექსური დავალება** - დავალება, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა და უნართა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
- **მკვიდრი წარმოდგენები (enduring understanding);**
სტანდარტში გამოყოფილ ცნებებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები. ისინი გამოხატავს სტანდარტის შედეგებსა და შინაარსში ასახულ იმ არსობრივ (და არა - ფაქტობრივ) ცოდნას, რომელიც უნდა დარჩეს მოსწავლის გრძელვადიან მეხსიერებაში თემის სწავლის შედეგად. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა აუცილებელია იმისთვის, რომ საგანმანათლებლო პროცესმა გეზი შეიცვალოს და ფაქტობრივი ცოდნის დიდი სიმრავლეების დასწავლის ნაცვლად, კურსი აიღოს არსობრივი ცოდნის გააზრებული სწავლისაკენ.
- **საგნობრივი საკითხები** - წლიურ თემების ფარგლებში გამოიყოფა მცირე რაოდენობის საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს, ის უნდა ემსახურებოდეს ცნებების გააზრებას, საკვანძო კითხვებსა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას, მკვიდრ წარმოდგენების ჩამოყალიბებას.